№ 12/00500 "05" 12 2017

ქალაქ თბილისის მერიის
სსიპ არქიტექტურის სამსახურს

სს „ბანკი ქართუ“ როგორც იპოთეკარი აცხადებს თანხობას მასზედ, რომ შპს „ქართული რძის პროდუქტმა“ (ს/კ 406223643) განახორციელოს შპს „კალინა-ჯორჯიას“ (ს/კ 202184992) კუთვნილ 23148კვ/მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა ნაგებობებში გარკვეული სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი **(AR1500525)** სათანადო დოკუმენტების მიხედვით იმ პირობით, რომ იპოთეკის საგანი არ შემცირდება და სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ გაფორმებული იპოთეკა სრულად გავრცელდება ამავე მიწის ნაკვეთზე ცვლილებების შედეგად სამომავლოდ ასაშენებელ ყველა შენობა–ნაგებობაზე.

შპს „კალინა ჯორჯიას“ კუთვნილი უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისი, მარნეულის ქ. N43. **მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.18.12.021.003**

პატივისცემით,

ზურაბ გოგუა
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. ანდიაშვილი

შპს „კალინა ჯორჯია“

@.G.balesiashvili@kalina.ge

T. 240 40 94

ს.კ 202184992

მის: თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულის ქ. #43

ქ. თბილისი

05 აპრილი, 2018 წელი

თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე

შპს „კალინას ჯორჯიას“ (ს.კ 202184992) (შემდგომში „მესაკუთრე“) და შპს „ქართული რძის პროდუქტები“-ს (ს.კ 406223643) (შემდგომში „მოსარგებლე“) შორის 2018 წლის 23 მარტს დაიდო აღნაგობის უფლების ხელშეკრულება #23/03/2018, რის თანახმადაც, მოსარგებლე მიწის აღნაგობის უფლებით ისარგებლებდა.

აღნაგობის ობიექტს მესაკუთრე მოსარგებლეს გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #*3312859*) მიხედვით შენობა-ნაგებობის აშენებისთვის.

მესაკუთრე თანახმაა მოსარგებლემ განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების #23/03/2018 მიხედვით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.

შპს „კალინა ჯორჯია“

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი
(პ.ნ 01011082773)

შპს „ნატურალ+“

ს.კ 245444764

@. Info@naturalplus.ge
T. 240 40 94
მის: თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულის ქ. #43

ქ. თბილისი

05 აპრილი, 2018 წელი

თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე

შპს „ნატურალ+“ (ს.კ 245444764) თანახმაა შპს „ქართული რძის პროდუქტები“-მა (ს.კ 406223643) განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #3312859) ფარგლებში.

შპს „ნატურალ+“

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი
(პ.ნ 01011082773)

შეთანხმება ხელშეკრულების ცვლილებაზე #23/03/2018.1.

ქ. თბილისი 05.04.2018

2018 წლის 23 მარტს შპს „კალინა ჯორჯია"-ს (ს.კ 202184992) („მესაკუთრე") და შპს „ქართული რძის პროდუქტები"-ს (ს.კ 406223643) („მოსარგებლე") შორის დაიდო აღნაგობის უფლების ხელშეკრულება #23/03/2018.

მესაკუთრე და მოსარგებლე თანხმდებიან, რომ მოცემული აღნაგობის უფლების ხელშეკრულების 1.4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აღნაგობის ობიექტს მესაკუთრე მოსარგებლეს გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #3312859) მიხედვით შენობა-ნაგებობის აშენებისთვის."

შპს „კალინა ჯორჯია"

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი

შპს „ქართული რძის პროდუქტები"

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
№778
თარიღი 05 აპრილი 2018 წ.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.12.021.003**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018237743 - 21/03/2018 10:49:56

მომზადების თარიღი
26/03/2018 14:43:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	18	12	021/003

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 43

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 23148.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **21;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1-დან N14-ის ჩათვლით
შენობა-ნაგებობა N12 და N13 - საერთო ფართით 1807.82 კვ.მ. (მათ შორის ანგრესოლი 109.72 კვ.მ.) ,

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **012006014103** , თარიღი **23/03/2006**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 15 მარტს გაცემული აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღების სერთიფიკატი (მოწმობა) N10
- საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ"

მესაკუთრეები:
შპს "კალინა-ჯორჯია", ID ნომერი:202184992

მესაკუთრე:
შპს "კალინა-ჯორჯია"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **012007040435** თარიღი **02/04/2007**

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ";
მესაკუთრე: შპს "კალინა-ჯორჯია"202184992;
საგანი:დაზუსტებული მიწის ფართობი 23148კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;

იპოთეკის ხელშეკრულება N (ი) 1 კალინა /03-07 , რეესტრის ნომერი N1-2759, დამოწმების თარიღი28/03/2007, ნოტარიუსი ე. გვანცელაძე ,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **03/04/2007**

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

ბის
რაცია
ომერი
2011132694
არიღი 25/03/2011
14:30:31

მოიჯარე: შპს "ნატურალ +" 245444764;
მესაკუთრე: შპს "კალინა-ჯორჯია"202184992;
საგანი:შენობა ნაგებობა ფართით 600 კვ.მ. და შენობა ნაგებობაში 150 კვ.მ.;
ხელშეკრულების დადების თარიღი:18/06/2010;
ვადა:2 წელი;
საბოლოო თარიღი:18/06/2012;

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
01/04/2011

საიჯარო ხელშეკრულება,

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
892018237743
თარიღი 21/03/2018
10:49:56

ალნაგობის უფლების მქონე პირი: შპს "ქართული რძის პროდუქტები" 406223643;
მესაკუთრე: შპს "კალინა-ჯორჯია"202184992;

საგანი:2000.0კვ.მ. მიწის ნაკვეთი;
საბოლოო თარიღი:20/11/2025;

ალნაგობის უფლების ხელშეკრულება N23/03/2018, დამოწმების თარიღი23/03/2018, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
26/03/2018

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება აღნაგობის უფლების ვადის ნაწილში მოქმედებს ხელშეკრულების 1.3 პუნქტით განსაზღვრული ვადით, ხოლო მხარეთა სხვა ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ამ ვალდებულებების შესრულებამდე.

5.2. „მესაკუთრეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.2.1. თუ "მოსარგებლე" უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2. თუ "მოსარგებლე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.2.3. თუ "მოსარგებლე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „აღნაგობის ობიექტის" მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება "მესაკუთრეს"

5.2.4. შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ „მოსარგებლეს" **60** (სამოცი) კალენდარული დღით ადრე.

5.3. "მოსარგებლეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1. თუ "მესაკუთრე" უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.3.2. თუ "მესაკუთრე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.3.3. თუ "მესაკუთრის" ბრალეული ქმედებით ეზღუდება „მოსარგებლეს" „აღნაგობის ობიექტით" სარგებლობის უფლება.

5.3.4. შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ „მესაკუთრეს" **60** (სამოცი) კალენდარული დღით ადრე.

5.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად.

5.5. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, დამრღვევმა მხარემ სრულად უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები.

5.6. ხელშეკრულების შეწყვეტიდან **5** (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, "მოსარგებლე" ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და აღნაგობის სასყიდელი, იგი ასევე ვალდებულია დაცალოს-გაათავისუფლოს აღნაგობის ობიექტი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „აღნაგობის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტი.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „მოსარგებლის" მიერ აღნაგობის ობიექტით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდა, რისი წინააღმდეგიც არ არის „მესაკუთრე", ხელშეკრულება ყოველ ასეთ ჯერზე გაგრძელებულად ჩაითვლება ერთი თვის ვადით, იმავე პირობებით.

6. ფორს მაჟორი.

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენით.

„მესაკუთრე"
დირექტორი
გიორგი ბალესიაშვილი

„მოსარგებლე"
დირექტორი
გიორგი ბალესიაშვილი

აღნაგობის უფლების
ხელშეკრულება #23/03/2018

ქ. თბილისი

23.03.2018

ერთი მხრივ, შპს „კალინა ჯორჯია“ (ს.კ. 202184992) (შემდგომში „მესაკუთრე“) და მეორე მხრივ, შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (ს.კ. 406223643) (შემდგომში „მოსარგებლე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად "მესაკუთრე" გადასცემს, ხოლო „მოსარგებლე" აღნაგობის უფლებით იღებს „მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებულ **2,000 (ორი ათასი)** კვ.მ. მიწის ფართს (შემდგომში „აღნაგობის ობიექტი“), ხოლო „მოსარგებლე“ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

1.2. „აღნაგობის ობიექტის“ მახასიათებლებია: საკადასტრო კოდი: **# 01.18.12.021.003**, მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულის ქ. **43**.

1.3. აღნაგობის ობიექტი მოსარგებლეს გადაეცემა 20.11.2017 -დან 20.11.2025-მდე.

1.4. აღნაგობის ობიექტს მესაკუთრე მოსარგებლეს გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #2057556. თარიღი 08/07/2015) მიხედვით შენობა-ნაგებობის აშენებისთვის.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულებას დაწართის #1-ის სახით ახლავს მონახაზი, თუ სად უნდა განხორციელდეს მშენებლობა.

1.6. საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს მოსარგებლე-შპს „ქართული რძის პროდუქტები“

2. აღნაგობის უფლების ფასი და გადახდის პირობები

2.1. „აღნაგობის ობიექტით“ სარგებლობის ყოველთვიური საფასური (შემდგომში ,,აღნაგობის სასყიდელი“) შეადგენს **2 000 (ორი ათასი)** ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.2. „მოსარგებლე“ ასევე ვალდებულია გადაიხადოს „აღნაგობის ობიექტის“ შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები, რისთვისაც იგი ვალდებულია აღნაგობის უფლების მოქმედების მთელ პერიოდზე აბონენტად დარეგისტრირდეს შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება).

2.3. აღნაგობის სასყიდლის გადახდა ხორციელდება წინასწარი გადახდებით, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის 05 რიცხვისა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "მოსარგებლე" ვალდებულია:

3.1.1. გამოიყენოს „აღნაგობის ობიექტი“ მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას „აღნაგობის ობიექტის“ ფუნქციის შეცვლა მესაკუთრის შეთანხმების გარეშე;

3.1.2. გადაიხადოს აღნაგობის სასყიდელი ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

3.1.3. მოუაროს „აღნაგობის ობიექტს“, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, არსებული საიერთო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;

„მესაკუთრე“
დირექტორი
გიორგი ბალიაშვილი

„მოსარგებლე“
დირექტორი
გიორგი ბალიაშვილი

რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთას გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომლთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი)

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება.

7. სხვა პირობები

7.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

7.2. იმ გაუმჯობესებების დემონტაჟი, რომლებიც საჭირო იყო მხოლოდ „მოსარგებლესთვის" მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს „მოსარგებლეს" ხარჯით.

7.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს ნესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

7.4. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

7.5. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

7.6. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის დავაზე პირველი ინსტანციით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ადნაგობის ობიექტის მდებარეობის მიხედვით არებულ სასამართლო.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

7.8. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. თითეულ მხარეს გადაეცა თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი ეგზემპლარი, კანონმდებლობის ან რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

„მესაკუთრე"	„მოსარგებლე"
შპს „კალინა ჯორჯია"	შპს „ქართული რძის პროდუქტები"
ს.კ.: 202184992	ს.კ.: 406223643
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარნეულის #43	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარნეულის #43
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარნეულის #43	ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარნეულის #43
საბანკო რეკვიზიტები:GE41LB0113160078067000	საბანკო რეკვიზიტები: GE22CR0130009450833608
ხელმომწერი პირი: გიორგი ბალესიაშვილი (პ.ნ 01011082773)	ხელმომწერი პირი: გიორგი ბალესიაშვილი (პ.ნ 01011082773)

„მესაკუთრე"
დირექტორი
გიორგი ბალესიაშვილი

„მოსარგებლე"
დირექტორი
გიორგი ბალესიაშვილი

3.1.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „აღნაგობის ობიექტის“ დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად. ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მესაკუთრეს“ და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

3.1.5. დაუბრკოლებელად შეუშვას „მესაკუთრე“ ან მისი წარმომადგენელი აღნაგობის ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პირობების კონტროლის და შემოწმების მიზნით;

3.1.6. დროულად გადაიხადოს დაკავებული ფართის კომუნალური გადასახდელები არსებული ტარიფებით;

3.1.7. აუნაზღაუროს „მესაკუთრეს“ ყოველგვარი ზიანი, რომელიც მიადგება ქონებას „მოსარგებლის“ არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

3.1.8. „მესაკუთრის“ თანხმობის გარეშე არ გასცეს „აღნაგობის ობიექტი“ მესამე პირებზე ქვეიჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით.

3.1.9. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.2. „მესაკუთრე“ ვალდებულია:

3.2.1. ხელი შეუწყოს "მოსარგებლეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, აღნაგობის საგნით სარგებლობის პროცესში, მათ შორის ,,მესაკუთრესთან“ შეთანხმებული რეკონსტრუქციის ან სხვა გადაკეთების განხორციელებისას;

3.2.2. უზრუნველყოს ,,მოსარგებლის' მიერ აღნაგობის ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

3.2.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

4. პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ უნდა აუზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.2. მოსარგებლე პასუხს აგებს აღნაგობის სასყიდლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადახდაზე.

4.3. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება, დაზიანება, სანივთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვისება ან/და სხვაგვარი შედეგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს აღნაგობის ობიექტით სარგებლობას.

4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის სასყიდლის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ,,მესაკუთრე' უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,მოსარგებლეს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაძოსული დავალიანების **0.05%**-ის ოდენობით.

4.5. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, ბრალეულ მხარეს მეორე მხარის მოთხოვნით დაეკისრება პირგასამტეხლო **1 (ერთი)** თვის აღნაგობის სასყიდლის ოდენობით.

„მესაკუთრე“
დირექტორი
გიორგი ბალანიაშვილი

„მოსარგებლე“
დირექტორი
გიორგი ბალანიაშვილი

შპს „კალინაჯორჯია“
ს.კ 202184992

@.G.balesiashvili@kalina.ge
T.240 40 94
მის: თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულის ქ. #43

ქ. თბილისი

31 მარტი, 2018 წელი

თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე

შპს „კალინას ჯორჯიას“ (ს.კ 202184992) (შემდგომში „მესაკუთრე“) და შპს „ქართული რძის პროდუქტები“-ს (ს.კ 406223643) (შემდგომში „მოსარგებლე“) შორის 2018 წლის 23 მარტს დაიდო აღნაგობის უფლების ხელშეკრულება #23/03/2018, რის თანახმადაც, მოსარგებლე მიწის აღნაგობის უფლებით ისარგებლებდა.

აღნაგობის ობიექტს მესაკუთრე მოსარგებლეს გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #2057556. თარიღი 08/07/2015) მიხედვით შენობა-ნაგებობის აშენებისთვის.

მესაკუთრე თანახმაა მოსარგებლემ განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების #23/03/2018 მიხედვით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.

შპს „კალინა ჯორჯია“

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი
(პ.ნ 01011082773)

შპს „ნატურალ+“

ს.კ 245444764

@. Info@naturalplus.ge
T. 240 40 94
მის:თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულისქ. #43

ქ. თბილისი

31 მარტი, 2018 წელი

თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე

შპს „ნატურალ+“ (ს.კ 245444764) თანახმაა შპს „ქართული რძის პროდუქტები“-მა (ს.კ 406223643) განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძანება #2057556. თარიღი 08/07/2015) ფარგლებში.

შპს „ნატურალ+“

დირექტორი

გიორგი ბალესიაშვილი
(პ.ნ 01011082773)

